საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №62

14 ნოემბერი 2017 წ.

ჩაქვი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „ო" ქვეპუნქტისა და 142-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი, თანახმად N1 დანართისა.

2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობის (სერტიფიკატის) ფორმა, თანახმად N2 დანართისა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2015 წლის 24 სექტემბრის N49 ბრძანება.

4. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით გაბაიძე

დანართი N1

„დამტკიცებულია“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის
2017 წლის 14 11 N 24 გრძანებით

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
დავით გაბაჩიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს აპარატი) სტაჟირების გავლას.
2. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლესი საბჭოს აპარატი ახალგაზრდა სპეციალისტებს უქმნის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.
3. სტაჟირება არის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებში (დეპარტამენტი, კომისიის აპარატი, ბუღალტერია, აპარატის უფროსის სამდივნო) ამ წესით რეგულირებული, არაანაზღაურებადი საქმიანობა.

თავი II. სტაჟიორთა შერჩევა. სტაჟირების გავლის კომისია

მუხლი 2

1. უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟიორი მიიღება კონკურსის წესით.
2. სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი (შემდგომში - აპარატის უფროსი).
3. სტაჟიორად მიიღება უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აქვს უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი სპეციალობა/კვალიფიკაცია.
4. სტაჟირების კონკურსი ცხადდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (www.sca.ge).

კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:
ა) სტაჟირების კონკურსის ჩატარების ადგილის, დროისა და ფორმის შესახებ;
ბ) სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების რეგისტრაციის ადგილისა და დროის შესახებ;
გ) სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო კრიტერიუმების შესახებ;
დ) სტაჟირების კონკურსზე გასაუბრების თემატიკის შესახებ;
ე) მისაღები სტაჟიორების რაოდენობის შესახებ, სტაჟირების ვადის მითითებით;
ვ) სტაჟირების გავლის მსურველთა მიერ განცხადებასთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხის შესახებ.
5. სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს უნდა წარუდგინოს:
ა) განცხადება უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის სახელზე;
ბ) CV;
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) დიპლომის ასლი/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა;
ე) ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4).
6. კონკურსში მონაწილეობის მსურველს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების წარმოსადგენად ეძლევა კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადა.
7. სტაჟიორის მიღება კონკურსის გავლის გარეშე შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, კალენდარული წლის განმავლობაში შტატით გათვალისწინებული საერთო საშტატო რიცხოვნების არაუმეტეს 5%-ის ფარგლებში.

მუხლი 3

1. უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის ორგანიზებისა და სტაჟიორთა შერჩევის მიზნით იქმნება სტაჟირების გავლის კომისია (შემდგომში – კომისია).
2. კომისიის შემადგენლობას ბრძანებით განსაზღვრავს აპარატის უფროსი.
3. კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის სხვა წევრებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით ნიშნავს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.
4. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.
6. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში,

გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის წევრები და სხდომის მდივანი.

მუხლი 4

1. სტაჟირების კონკურსი ტარდება გასაუბრების ფორმით. გასაუბრების თემატიკას განსაზღვრავს კომისია.
2. გასაუბრება ტარდება განცხადებების მიღების ვადის გასვლის დღიდან არაუგვიანეს ორი კვირისა.
3. სტაჟირების გავლის მსურველი გასაუბრებას გადის კომისიის წინაშე.
4. სტაჟირების გავლის მსურველი გასაუბრების საფუძველზე ფასდება დადებითად ან უარყოფითად.
5. გასაუბრების შედეგად კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) სტაჟირების გავლის მსურველის დადებითად შეფასების შემთხვევაში – მისი სტაჟიორად მიღების და მისი უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულში განაწილების თაობაზე;
ბ) სტაჟირების გავლის მსურველის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში – მის სტაჟიორად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.
6. კომისიის თავმჯდომარე, სტაჟიორთა შერჩევიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა შედეგების შესახებ წერილობით აცნობებს სტაჟიორის დანიშვნის უფლებამოსილ პირს, ხოლო სტაჟირების გავლის მსურველებს - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე (www.sca.ge) - ინფორმაციის ღიად განთავსების გზით.
7. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე სტაჟიორებს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით ნიშნავს აპარატის უფროსი.
8. ამ წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უმაღლესი საბჭოს აპარატის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში შეიძლება დაინიშნოს არაუმეტეს 3 სტაჟიორისა.

თავი III. სტაჟირების გავლა.
სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 5

1. უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის ვადაა ერთი თვიდან ექვს თვემდე. კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს აპარატის უფროსი, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმებით.

2. ექვს თვეზე ნაკლები ვადით მიღებულ სტაჟიორს, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით, აპარატის უფროსის ბრძანებით, შეიძლება ერთჯერადად გაუგრძელდეს სტაჟირების ვადა. სტაჟირების ხანგრძლივობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

მუხლი 6

სტაჟირების გავლის ორგანიზებას და საერთო კოორდინაციას უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

მუხლი 7

სტაჟიორთა სამუშაო კვირის ხანგრძლივობაა 5 დღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

მუხლი 8

სტაჟიორს უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით:
ა) გაეცნოს მისთვის საჭირო სამსახურებრივ დოკუმენტაციას, ნორმატიულ აქტებსა და სხვა მასალებს, ისარგებლოს სათანადო საცნობარო, ანალიტიკური, ელექტრონული და სხვ. ინფორმაციით, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს;
ბ) დაესწროს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოწვეულ სხდომებს, თათბირებსა და სხვა ღონისძიებებს, მონაწილეობა მიიღოს მათ ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში;
გ) გამოიყენოს უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

მუხლი 9

სტაჟიორი ვალდებულია:

ა) იხელმძღვანელოს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებითა და უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, დაიცვას უმაღლესი საბჭოს აპარატის შინაგანაწესის მოთხოვნები;
ბ) დადგენილ ვადაში შეასრულოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დავალება;
გ) გაეცნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფეროს, სათანადო ნორმატიულ აქტებს, მუშაობის სპეციფიკას, საკითხების მომზადებისა და დოკუმენტების შედგენის პრაქტიკას;
დ) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მუშაობაში, რაც გულისხმობს როგორც ამ ერთეულის თანამშრომელთა

ტექნიკურ დახმარებას, ისე ინტელექტუალური სამუშაოს შესრულებას (მასალების თარგმნა, წერილების პროექტების მომზადება, დოკუმენტების იურიდიული მხარის მოწესრიგება, ნორმატიული აქტების მოძიება);
ე) შეისწავლოს საკანონმდებლო პროცესის სხვადასხვა სტადიაზე მიმდინარე მუშაობის თავისებურებები, რაც მოიცავს პროცესს კანონპროექტის ინიცირებიდან უმაღლესი საბჭოს მიერ საბოლოო რედაქციით მიღებამდე; გაეცნოს უმაღლესი საბჭოს საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმებს;
ვ) გაეცნოს უმაღლესი საბჭოს ბიუროს, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის, თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს საქმიანობას;
ზ) გაეცნოს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგს; დაესწროს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებსა და კომისიის სხდომებს;
თ) დაიცვას და არ გაამჟღავნოს სტაჟირების გავლის დროს მისთვის ცნობილი სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული და პირადი ინფორმაცია. ეს ვალდებულება სტაჟიორს უნარჩუნდება სტაჟირების ვადის გასვლის ან სხვა საფუძველზე სტაჟირების შეწყვეტის შემდეგაც.

თავი IV.

უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მოვალეობები სტაჟიორთა მიმართ

მუხლი 10

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისათვის.
2. უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სტაჟიორებს აძლევს დავალებებს, განუსაზღვრავს მათი შესრულების ვადებს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

თავი V. სტაჟირების შეწყვეტის საფუძვლები

მუხლი 11

1. სტაჟირების შეწყვეტის საფუძველია:
ა) სტაჟირების ვადის გასვლა;
ბ) სტაჟიორის პირადი განცხადება;

გ) სტაჟიორის მიერ სტაჟირების პერიოდში 5 დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

დ) სტაჟიორის მიერ დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
ე) სტაჟიორის მიერ ამ წესის მოთხოვნათა უხეში დარღვევა;

ვ) სტაჟიორის მიერ სხვა დაწესებულებაში პრაქტიკის ან სტაჟირების გავლის ან სამსახურის დაწყების ფაქტის გამოვლენა, თუ ეს ხელს უშლის უმაღლესი საბჭოს აპარატში სტაჟირების გავლის პროცესს;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი საკუთარი ინიციატივით, ხოლო „გ"–„ვ" ქვეპუნქტების შემთხვევებში - შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წინადადების საფუძველზე.

თავი VI. სტაჟირების გავლის შედეგების შეფასება

მუხლი 12

1. სტაჟირების გავლის შედეგებს აფასებს კომისია.
2. სტაჟირების ვადის გასვლის შემდეგ უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები კომისიას წარუდგენენ სტაჟიორთა მიერ სტაჟირების გავლის პერიოდში განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე მათ დახასიათებებს.
3. კომისია სტაჟიორის მიერ სტაჟირების გავლის შედეგებს აფასებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დახასიათების საფუძველზე და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) სტაჟიორის მიერ სტაჟირების გავლის შედეგების დადებითად შეფასების შესახებ;
ბ) სტაჟიორის მიერ სტაჟირების გავლის შედეგების უარყოფითად შეფასების შესახებ.
4. სტაჟიორის მიერ სტაჟირების გავლის შედეგების დადებითად შეფასების შემთხვევაში გაიცემა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (სერტიფიკატი), რომელსაც ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი. სტაჟიორის მიერ სტაჟირების გავლის შედეგების უარყოფითად შეფასების შემთხვევაში სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (სერტიფიკატი) არ გაიცემა.

თავი VII. დასკვნითი დებულება

მუხლი 13

ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

GEORGIA
THE SUPREME COUNCIL OF THE
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA

სერტიფიკატი
CERTIFICATE

სერტიფიკატი ადასტურებს, რომ _____

წარმატებით გაიარა სტაჟირება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის

_____
(სტრუქტურული ერთეულის დასახელება)

This is to certify that, _____

has successfully completed internship at administration of Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

_____
(name of structural division)

აპარატის უფროსი

Head of Administration

№

— ——— 20—